

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომის

d a d g e n i l e b a №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში მე-6 სასწავლო კორპუსში განთავსებული ფართობების მოიჯარეთა საიჯარო ქირისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: ქვემოთ მითითებული მოიჯარეები გათავისუფლდნენ ივლისის თვის საიჯარო ქირის გადახდისაგან:

- ფ.პ გოჩა დალაქიშვილი;
- ფ.პ სტეფანე აბრამიანი;
- ფ.პ ნარგიზ ტოგონიძე;
- ფ.პ თორნიკე ოქროპილაშვილი;
- შპს პრომო პლუსი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№31 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომის

d a d g e n i l e b a №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის მე-7 სასწავლო კორპუსის სახურავზე არსებული 171 კვ.მ. ფართობის იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს სტუ-ის მე-7 სასწავლო კორპუსის სახურავზე არსებული 171 კვ.მ. ფართობი, სარეკლამო საქმიანობის მიზნით, 10 წლის ვადით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№31 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომის

d a d g e n i l e b a №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომაზე სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის დადგენილება №2524.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორ ედუარდ გერსამიას სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№31 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომის

d a d g e n i l e b a №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომაზე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფ. თინათინ კაიშაურმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის დადგენილება №2525.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ გენო კუკულაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№31 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომის

d a d g e n i l e b a №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომაზე სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. ივანე ჯაგოდნიშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის დადგენილება №2526.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ ნანული გუნიას სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

№31 სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომის

d a d g e n i l e b a №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №31 სხდომაზე სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბ-მა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის №62 სხდომის №1 დადგენილებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) კოდექსის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კოდექსის მოქმედების ფარგლები

კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალზე, მოწვეულ სპეციალისტზე, ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირზე (შემდგომში „პერსონალი“) და უნივერსიტეტის სტუდენტებზე.

ბ) კოდექსის მე-11 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის, მოწვეული სპეციალისტის, ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირისთვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) მკაცრი საყვედური;

ე) სამსახურიდან დათხოვნა;

ვ) ემერიტუსის აკადემიური წოდების ჩამორთმევა“.

გ) კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფაკულტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის, მოწვეული სპეციალისტის, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე, ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ეთიკის კომისია, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო,

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად შექმნილი ორგანო, სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (გარდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პერსონალისა), წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ეთიკის კომისია, ხოლო სტუდენტის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო“ .

დ) კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აკადემიური/მასწავლებელთა და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირის მიმართ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება, რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად. ემერიტუსის აკადემიური წოდების ჩამორთმევის შემთხვევაში პირს უწყდება წოდებისათვის დანიშნული სარგოს გაცემა.

5. სამეცნიერო და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულის პერსონალის მიმართ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით“ ;

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
№31 სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე